ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 10

"23" იანვარი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. №41-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.11.12.003.036) პირდაპირი განკარგვის წესით რომიკ კაბაჯიანისთვის (პ/ნ. 01002025535) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. №41-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.11.12.003.036) პირდაპირი განკარგვის წესით რომიკ კაბაჯიანისთვის (პ/ნ. 01002025535) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 იანვრის №24.42.83 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. №41-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.11.12.003.036) პირდაპირი განკარგვის წესით რომიკ კაბაჯიანისთვის (პ/ნ. 01002025535) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე